

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N 4

ქ. თელავი

2021 წლის 14 მაისი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე შათირიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ვასილ არაბული, გიორგი ჩაბრაშვილი, უჩა
ჭოტიაშვილი, ლევან ლილუაშვილი, ლელა
მენტეშაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
უფროსი ტარიელ გალახვარიძე, თელავის
მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის
უფროსი გიორგი თავბერიძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს. ა. შათირიშვილი

მოსმინეს 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.


აზრი გამოთქვას: გიორგი თავბერიძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია 530 მმ.მეორადი ლითონის მილები 350 გრძ.მ. ოდენობით, აღნიშნული მილების სახელმწიფოსთვის გადაცემის შედეგად სოფელ ფშაველში გაკეთდება სარწყავი ქსელი.

ალექსანდრე შათირიშვილმა დააყენა წინადადება წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

აღნიშნულ წინადადებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე:



ალექსანდრე შათირიშვილი